# ქუჯი

„... და მაშინ განიხარებენ ყოველნი ქართველნი"

№33, ოთხშაბათი, 30 იანვარი - 12 თებერვალი, 2002 წელი — ფასი 40 თეთრი

## ინფორმაცია
### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2002 წლის 26 იანვარს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. მრგვალი მაგიდა და ცრუ ეროვნული ძალები (დეპუტატი ჯ. იონათამიშვილი);

2. საქართველოში მიმდინარე პროცესების თავისებურებანი (დეპუტატი ბ. აფრასიძე);

3. სხვადასხვა.



## ზვიად გამსახურდია:

რა მოუტანეთ საქართველოს გარდა სისხლისღვრისა, შიმშილისა, ძარცვა-გლეჯისა, ნარკომანიისა, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვისა, ეროვნული განძის ძარცვა-განიავებისა...

არ აგცდებათ ერის საუკუნო წყევლა და შეჩვენება. მომავალი იყოს ჩვენი მსაჯული.

გვ.2

## 8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა



დავითი იყო ისეთივე დიდი სახელმწიფო მოღვაწე, როგორც სასულიერო, ისეთივე დიდი მეფე, როგორც ღვთისმეტყველი, როგორც სასულიერო პიროვნება. იგი თავის თავში აერთიანებდა მეფეს და ხუცესს... ამიტომაც ჯვაროსნები ერთხმად უწოდებდნენ მას მეფე-ხუცეს იოანეს... ამიტომაც არის იგი ფრესკაზე გამოსახული ეკლესიით ხელზე. ასეთი პატივი არც ერთ მეფეს არ რგებია... ჩვენ არ გვყოლია სხვა მეფე, რომელმაც ამრიგად გააერთიანა სასულიერო და საერო ხელისუფლება, სასულიერო და საერო სიბრძნე... იგი იყო ისეთივე ბურჯი რელიგიისა, როგორც სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, როგორც პოლიტიკური ცხოვრებისა საქართველოში და მან ეს ორი საწყისი შეაერთა.

ზვიად გამსახურდია

## სისხლიანი თებერვლის ქრონიკები

### 1992 წლის 2 თებერვალს ხუნტამ მშვიდობიანი მიტინგი დახვრიტა

—ერთხელ მითხრა - რა მოხდება დედა, ერთი შვილი შენც შესწირო საქართველოსო... დარბევის შემდეგ სახლში მომისვენეს ჩემი ბიჭი, დასისხლიანებული...

...ნაძვნარიდან სროლის ხმა მოისმა. მანიფესტაცია შეტბორდა, წინ გზა ჩაგვიხერგეს ავტობუსებით და ამ დროს მასირებული ტყვიები წამოვიდა. დავინახე როგორც დაეშვა დროშა ძირს. მოისმა ქალების განწირული კივილი. „მოკლეს" გაიელვა თავში...

გვ.2

### საზოგადოებას არ უნახავს იმ საზარელი ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური კადრები

კვლავ ატყდა ძლიერი სროლა. ისროდნენ სახლებიდან, ავტომანქანებიდან, ისროდნენ შუა გზაში მდგომნი. შეშინებული ხალხი მიმოიფანტა. ქუჩაში შემოიყვანეს ჯავშნიანი და ვილისის მსგავსი მანქანები, რომლებიდანაც ისევ განუწყვეტლივ ისროდნენ. მათ უკან მოჰყვნენ ქვეითი ავტომატიანები... შავ ხამოსიანი ავტომატიანი გამხეცებული იძახდა: „კიდევ ზვიადი გინდათ?.."

გვ.4

### განვლილ 10 წელიწადში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დაცვისა და აღდგენისათვის მებრძოლი. ხუნტის მიერ ნაწამები გმირები

გვ.3

### კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლა გრძელდება

გვ.5

### ვინ აგებს პასუხს დაღვრილ სისხლზე?!

გვ.5

### ღვთისა და კაცობრიობის წინაშე პირნათელი საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს!

გვ.6

### საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარების პარპაშის ისტორიიდან

გვ.6

### ქართული ხატწერა რუსულ ტაძრებში

გვ.7

# რაც უნდა ჭირი მამკერძონ,

## თბილისი. საქართველოს ტელევიზიას. ე. შევარდნაძეს

გვიან გავეცანი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ პასკვილს „კრახი", სადაც მაბრალებთ ტერორისტული აქტების ორგანიზებას, ცალკეულ პირთა „ჩვენებების საფუძველზე". ეს პირები ან თქვენივე პროვოკატორები არიან, ან თქვენი ფაშისტური ინკვიზიციის მიერ არაადამიანური წამებით გატეხილი ადამიანები, რომელთაც სიცოცხლის შენარჩუნების ფასად დააწერინეთ ის უხამსობა. ყველამ კარგად იცის, როგორ გადაასხით მდუღარე ზაზა წიკლაურს, როგორ გადაუმტვრიეთ ხელ-ფეხი, როგორ დაუმტვრიეთ ყველა კბილი გედეონ გელბახიანს, როგორ აწამებდით თავდალმა დაკი-



დებულს. ასეთი სადიზმის სკოლა გაქვთ გავლილი სუკში. ან შესაძლოა ეგ ჩვენებებიც თქვენს მიერ არის შეთითხნილი. წერილში ჩამოთვლილი ბრალდებები ისეთივე სიმართლეა, როგორც ჩემს მიერ მილიონების გატაცება, მუსულმანობის მიღება, კონფედერაციის ჯარებისადმი მიმართვის გაგზავნა და სხვა. ყოველივე ეს თქვენ და თქვენს კრიმინალურ ხუნტას წარმოგაჩენთ, როგორც სტალინის, ორჯონიკიძის, ბერიას, ეჟოვის, ანდროპოვის ერთგულ მიმდევრებს. ნუთუ ვერ ხედავთ თქვენს კრახს, რა მოუტანეთ საქართველოს გარდა სისხლისღვრისა, შიმშილისა, ძარცვა-გლეჯისა, ნარკომანიისა, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვისა, ეროვნული განძის ძარცვა-განიავებისა, ყოველგვარი უზნეობისა და უბედურებისა? საქართველოს ისტორიაში თქვენ შეხვალთ როგორც მურვან ყრუ, ჯალალ-ედ-ინი, თემურ ლენგი, შაჰ-აბასი, აღა მაჰმად-ხანი. დრო მოვა და პასუხს აგებთ საქართველოს დაშლისათვის, მკვდარი ქალაქებისათვის, გადამწვარი სოფლებისათვის, ტერაქტებისა და გენოციდისათვის, აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვისათვის, საქართველოს ისტორიულ მტრებთან ალიანსისათვის, სხვა მრავალი შავბნელი დანაშაულისათვის. არ აგცდებათ ერის საუკუნო წყევლა და შეჩვენება. მომავალი იყოს ჩვენი მსაჯული.

> რა მოუტანეთ საქართველოს გარდა სისხლისღვრისა, შიმშილისა, ძარცვა-გლეჯისა, ნარკომანიისა, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვისა, ეროვნული განძის ძარცვა-განიავებისა...
> არ აგცდებათ ერის საუკუნო წყევლა და შეჩვენება. მომავალი იყოს ჩვენი მსაჯული.

*ზვიად გამსახურდია*
*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი*
*23 გიორგობისთვე, 1992 წელი.*




კოლხური კოშკი დღესაც ამაყად, ქართული სულიერების სიმბოლოდ დგას, თუმც ვაიქართველთაგან იავარქმნილ-გაძარცვული. როგორც „ქუჯის" წინა ნომრის მასალებიდან შევიტყვეთ, ე. შევარდნაძე მოითხოვს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ქ-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასაგან იმ დოკუმენტზე ხელის მოწერას, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს კოლხური კოშკის აღდგენა და წართმეულ-დატაცებული ნივთების „დაბრუნება" კანონიერი პატრონისათვის. ქალბატონი მანანა, ბატონი ზვიად გამსახურდიას დარად, წინააღმდეგია ვაიმზრუნველთა დახმარებისა და აცხადებს: „სანამ ცოცხალი ვარ, მსგავსი დოკუმენტი არ შეიქმნება. მე ასე ვუპასუხებდი: ხელი მოგეწერე, როდესაც გამაძევეს საქართველოდან? როდესაც პუტჩი დაიწყეს საქართველოში? როდესაც პრეზიდენტს ტყვია ესროლეს?! როდესაც არბევდნენ კოშკის საფლავებს?! როდესაც გამიყიდეს კონსტანტინე და მირანდა გამსახურდიების მშობლების საფლავები?! როდესაც საქართველოს ტერიტორიები გაასხვისეს?! როდესაც კოლხური კოშკი გაძარცვეს და გადაწვეს?! როდესაც მოპასუხეს არ მინიშნავენ კოშკის გაძარცვასა და გადაწვასთან დაკავშირებით და კანონის ამოქმედებას 2005 წლისთვის რომ აპირებენ"?!



პუტჩის შედეგად გადამწვარი კოლხური კოშკი

# სისხლიანი თებერვლის ქრონიკები

2 თებერვალი სრულიად საქართველოს ტრაგედიაა. ეს დღე, თავისი ტრაგიკული მასშტაბებით 9 აპრილის ტოლფასია. „საქართველოს ისტორიაში შევა, ერთ-ერთ შავ ფურცლად, ისე როგორც ბოლო ათეულ წელს განვითარებული მოვლენები. 2 თებერვალი მოიტანა 1991-1992 წლებში მომხდარმა პუტჩმა, ხალხის მიერ არჩეული კანონიერი პრეზიდენტის და ხელისუფლების დამხობამ. რომ არა სამხედრო კრიმინალური გადატრიალება, ცხადია არც მშვიდობიანი მიტინგები და მანიფესტაციები დაიხვრიტებოდა. ამაოდ ამართლებენ ედუარდ შევარდნაძეს, რომ ის არ იმყოფებოდა საქართველოში 1992 წლის 2 თებერვალსო. ეს ამაო გამართლებაა, ამაო პასუხისმგებლობის აცილებაა. შევარდნაძეს უდანაშაულო, მოკლული ხალხის სისხლი სცხია ხელებზე, ისე, როგორც ჯაბა იოსელიანს, თენგიზ კიტოვანს და თენგიზ სიგუას. ეს ოთხეული, თავიანთ კრიმინალურ ბანდებთან ერთად ჩაიწერებიან საქართველოს მატიანეში, ჩაიწერებიან, როგორც „ღირსეული" მთამომავლები შადიმანის, ყორღანაშვილის, მახარაძის, ორჯონიკიძის და ლოლობერიძის.

დაე, სამართალმა განსაჯოს ისინი და პასუხიც უფალს გასცენ!..

## 1992 წლის 2 თებერვალს ხუნტამ მშვიდობიანი მიტინგი დახვრიტა

### (თვითმხილველთა ნაამბობი)

რამდენიმე ხნის წინ, 1992 წლის 2 თებერვალს მოკლული მედროშის, მამუკა ტერიშვილის ოჯახში ვიყავი. ძნელია გამოხატო ის დიდი, უსაშველო ტკივილი რაც მე იქ ვნახე. ძნელია ანუგეშო და დააიმედო ოჯახის წევრები, როცა სრულიად ახალგაზრდა ბიჭი სიცოცხლეს გამოასალმეს. მამუკას დედამ განმიცხადა: ინტერვიუზე ჟურნალისტებს უარს ვეუბნები, მაგრამ შენ მაინც გაგესაუბრებიო. ეს ინტერვიუ ადრე მაქვს ჩაწერილი, მაგრამ მკითხველისადმი მაინც საინტერესო და საგულისხმო იქნება.

ქალბატონი მარინა: ჩემი მამუკა უზომოდ იყო შეყვარებული სამშობლოზე და ქართველ ხალხზე. უშიშარი იყო, უდრეკი. ერთხელ მითხრა - რა მოხდება დედა, ერთი შვილი შენც შესწირო საქართველოსო.

ჩემი მამუკას შეწირვით ნეტავი შველებოდა საქართველოს და მისი მიზანი მიღწეული ყოფილიყო. ძალიან თავაზიანი, კეთილი ბიჭი იყო, ყველას უყვარდა. სკოლაში მასწავლებლებსაც გამორჩეულად უყვარდათ, ამიტომაც თავს აკლავდნენ მის ცხედარს.



*- მამუკა ტერიშვილი ეროვნული მოძრაობის კუთვნილებად იქცა. როდიდან ჩაება იგი ეროვნულ მოძრაობაში?*

- კანონიერი ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროსაც დადიოდა მამუკა მიტინგებზე, მაგრამ ეროვნული მთავრობის დამხობის შემდეგ აქტიურად ჩაება საპროტესტო მიტინგებსა და მანიფესტაციებში. 1992 წლის იანვარში თავის ძმასთან, გიასთან ერთად ზუგდიდში წავიდა, რათა იქ მიეღო მონაწილეობა ეროვნულ დაუმორჩილებლობაში.

*- თქვენთვის მტკივნეული იქნება, მაგრამ გთხოვთ გაიხსენოთ 2 თებერვალი, მამუკას უკანასკნელი დღე...*

- ვაიმე, რა დამავიწყებს იმ დღეს, დილით ცოტა წაიხუმრა, კარგი ხმა მქონდეს სიმღერისთვისო და თავის ძმასთან ერთად წავიდა მიტინგზე. მეც უკან გავყევი. დარბევის შემდეგ სახლში მომისვენეს ჩემი ბიჭი, დასისხლიანებული.

ქალბატონ მარინას დღემდე შენახული აქვს შვილის ნატყვიარი ტანსაცმელი, თეთრ პერანგს საყელო ტყვიით გაგლეჯილი აქვს. მასზე უკვე ფერგადასული სისხლის ლაქები დარჩა. ქალბატონი მარინა მოთქმით დასტირის თავის შვილს.

*- რომ გცოდნოდათ, რაც მოხდებოდა, გაუშვებდით თუ არა შვილს მიტინგზე?*

- ზვიადი მისთვის საქართველოს თავისუფლებას უდრიდა. მე, ძალიან რომ მდომებოდა, მამუკას შინ ვერ გავაჩერებდი. ალმაშენებლის ხიდს რომ მიუახლოვდა მანიფესტაცია, მამუკას უთქვამს - რომ ვიცოდე საქართველო თავისუფალი იქნება, დაუყოვნებლივ გადავხტებოდი ამ ხიდიდანო. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

*- ხალხის თანაგრძნობას და მხარდაჭერას თუ გრძნობთ?*

- როგორ არა. უდიდეს სითბოს ვგრძნობ, როცა ოჯახში მოდიან მასზე სასაუბროდ, მიხარია რომ მამუკა ახსოვთ და დავიწყებული არ არის.

*- რა შეგიმსუბუქებთ მწუხარებას და რას უსურვებდით ქართველ ხალხს?*

- ჩემი შვილის ოცნება იყო თავისუფალი საქართველო. მაშინ მწუხარება გამინელდება. თუ ახდება ნანატრი ოცნება და გაიმარჯვებს ქართველი ერი. გაჭირვებულ ქართველ ვუსურვებ ჭირთა თმენას, სიმტკიცეს, გამბედაობას და კიდევ

გვ. 4

# ბილწთ არ შავეკვრი ზავითა!

## ღმერთმა აცხონოს ეროვნული ღირსების დაცვისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირები



### ბეჟან გვათუა

დაიბადა 1968 წელს ქ. ფოთში. დაამთავრა ქ. ფოთის №16 საშუალო სკოლა. გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, იბრძოდა ავღანეთში. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1990 წელს.

ბეჟანი კანონიერი ხელისუფლების დაცვისათვის ხუნტის ჯარებთან ბრძოლის დროს დაიჭრა და გადაყვანილ იქნა სენაკის საავადმყოფოში. ვაიქართველებმა აქაც არ დაინდეს. მომაკვდავი არაადამიანურად იქნა დახვრეტილი საწოლში „მხედრიონელთა" მიერ.

ბეჟანის დაღუპვის შემდეგ, მშობლებიც შეეწირნენ ერთადერთი ვაჟიშვილის სიკვდილს. მას დარჩა ორი და.



### ზაზა გასვიანი

დაიბადა ქ. ფოთში 1968 წელს. დაამთავრა №11 საშუალო სკოლა. 1988 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. იბრძოდა ავღანეთში. 1990 წელს ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. 1992 წლის 27 იანვარს ქალაქის შემოსასვლელთან კანონიერების აღდგენისათვის გამართულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

ზაზას დარჩა გულმოკლული მშობლები და დედმამიშვილები.



### ავთო ბერაია

ავთო დაიბადა 1950 წელს. მან საშუალო სკოლა დაამთავრა სოფელ ხორგაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ფოთის ჰიდრომელიორაციულ ტექნიკუმში. 1972 წლიდან მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ მუშაობდა ქ. ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოში.

ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1989 წლიდან. დაიღუპა 1992 წლის 27 იანვარს გამეფებული უკანონობის წინაღმდეგ გამართულ ბრძოლაში.

მას დარჩა მეუღლე და ორი შვილი.



### ზვიად გედენიძე

დაიბადა 1972 წელს ქ. ფოთში. დაამთავრა №6 საშუალო სკოლის რვაწლედი, შემდეგ სწავლა განაგრძო ფოთის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1990 წლიდან მუშაობდა გემთშემკეთებულ ქარხანაში. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება იმავე წელს. იგი გმირულად იცავდა მშობლიურ ქალაქს რუსული ჯარის ნაწილებისა და ვაიქართველებისაგან. თავი შესწირა საქართველოს კეთილდღეობას 1992 წელს.

ზვიადს დარჩა გულმოკლული მშობლები და დედმამიშვილები.



### თამაზ კაკულია

დაიბადა 1954 წელს. დაამთავრა №1 საშუალო სკოლა. 1972 წელს ჩაირიცხა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1978 წელს. თამაზი იყო სპორტის ოსტატი კრივში. მან სოხუმში ჩამოაყალიბა მოკრივეთა სპორტული სკოლა „ამცბზი". ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1989 წელს. იგი იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

1992 წლის 6 იანვარს ეროვნული მთავრობა განერიდა სისხლისღვრას. დეპუტატებმა დატოვეს უზენაესი საბჭო. მეტეხის ხიდთან ჩაცხრილული იქნა ორ ავტობუსში მყოფი სიმართლისათვის მებრძოლი ბიჭები. ამ საზარელი მკვლელობისას თამაზიც იქ იმყოფებოდა. მას დარჩა მეუღლე და სამი შვილი.



### ზაურ გვასალია

დაიბადა 1948 წელს ქ. ფოთში და დაამთავრა ფოთის №6 საშუალო სკოლა. 1966 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1971-77 წლებში სწავლობდა ირკუტსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1989 წლიდან ჩაბმული იყო ეროვნულ მოძრაობაში. როგორც ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ზაურიც 1992 წელს მშობლიური ქალაქის დაცვას შეეწირა.

მას დარჩა მეუღლე და ქალიშვილი.



### თამაზ ჯღარკავა

დაიბადა ქ. ფოთში 1962 წელს. დაამთავრა №11 საშუალო სკოლა. 1980 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1991 წლიდან.

თამაზმა გმირულად შესწირა თავი 1992 წლის 27 სექტემბერს ქალაქის დაცვას. მალთაყვის ხიდთან ნახეს მოძმის ხელით განგმირული მისი ცხედარი.

თამაზს დარჩა გამწარებული დედა, და და ორი ძმა.



### როინ ლემონჯავა

დაიბადა ქ. ფაოთში 1960 წელს. დაამთავრა №11 საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში. 1977 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1990 წელს. 1992 წელს ხუნტის ჯარებმა ააფეთქეს ქ. ზუგდიდში განლაგებული ეროვნული გვარდიის შტაბი. როინი ამ დროს შიგ იმყოფებოდა.

მას დარჩა მეუღლე და სამი ქალიშვილი.



### კახა ყურუა

დაიბადა 1964 წელს. დაამთავრა №11 საშუალო სკოლა. 1982 წლიდან გაწვეული იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1991 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იბრძოდა ეროვნულ გვარდიაში. ხუნტის მიერ აფეთქებულ ეროვნული გვარდიის შტაბში როინთან ერთად ისიც იმყოფებოდა.

დარჩა მშობლები და დედმამიშვილები.



### ბოჩია ნანავა

დაიბადა ქ. ფოთში 1941 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ 17 წელი მუშად მუშაობდა ჰიდრომექანიზმების ქარხანაში.

1990 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. 1992 წელს ხუნტის ჯარებთან ბრძოლისას არაადამიანურად იქნა მოკლული.

„ქუჯის" რედაქცია მადლობას უხდის იმ პირებს, რომლებიც გამოეხმაურნენ ჩვენს პუბლიკაციას და მოგვაწოდეს ახალი ცნობები სამშობლოს სამსხვერპლოზე დაცემულ მეომართა შესახებ. კარგად გვესმის რაოდენ ტკივილთანაა დაკავშირებული ოჯახისა და ახლობლებისათვის სისხლიანი ჭრილობების ხელახლა გადახსნა, მაგრამ გვინდა შთამომავლობისათვის უცნობი არ დარჩეს მათი თავდადება საქართველოსათვის. რედაქცია მკითხველს სთხოვს გამოგვიგზავნოს ბიოგრაფიული ცნობები განვლილ 10 წელიწადში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დაცვისა და აღდგენისათვის დაღუპულ გმირთა შესახებ.

# სისხლიანი თებერვლის ქრონიკები

## 1992 წლის 2 თებერვალს ხუნტამ მშვიდობიანი მიტინგი დახვრიტა

### (თვითმხილველთა ნაამბობი)

გვ. 2

აღარ განმეორებულიყოს და ნუღარავის ენახოს მსგავსი უბედურება, როგორიც 2 თებერვალი იყო.

ძნელია ასეთ ინტერვიუს კომენტარი გაუკეთო. ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული და თავშეწირული ადამიანები, ისინი გმირები არიან.

2 თებერვლის მშვიდობიანი მანიფესტაციების დახვრეტის მონაწილენი ასიათასობით არიან. მოწმენი სიზუსტით და ფაქტიურად ერთნაირად აღწერენ იმ საშინელ დარბევას და დახვრეტას, რაც მოხდა. იმ დღეებში. რამდენიმე მათგანს ბინაზე ვეწვიე ინტერვიუს ჩამოსართმევად. მე ბოდიშს ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვისთანაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოვახერხე გასაუბრება. კიდევ ვიმეორებ, მოწმეები ასი ათასობით არიან. გთავაზობთ რამდენიმე თვითმხილველის ნაამბობს:

ნათელა ბარამიშვილი: 1992 წლის 6 იანვარს, ჩვენმა სათაყვანებელმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დატოვა თბილისი და საქართველოში ჩამოწვა გრძელ, ბნელი ღამე. იყო საშინელი სიცარიელის გრძნობა და განცდა იმისა, რომ მოხდა რაღაც საშიში და გამოუსწორებელი. თავზარდაცემული ხალხი ქუჩაში გამოვიდა და დაიწყო კანონიერი პრეზიდენტის მხარდამჭერი მრავალათასიანი მიტინგები და მანიფესტაციები. მისი სურათებით და ტრანსპარანტებით ხელში. ჩვენ მოვეფინეთ თბილისის ქუჩებს და ხმამაღლა მოვითხოვდით სამართლიანობის აღდგენას. მკვლელი - ვაი ქართველები სასტიკად გვარბევდნენ, მაგრამ ჩვენი ნება ურყევი იყო. ვერ შეგვაშინეს. პრეზიდენტის მხარდამჭერთა ტალღამ მოიცვა არა მარტო თბილისი, არამედ სრულიად საქართველო. და გათენდა 1992 წლის 2 თებერვალი.



მიტინგი გაიმართა ვაგზლის მოედანზე. გამომსვლელები ერთმანეთს ცვლიდნენ. მოედანი გადაჭედილი იყო ხალხით. ფრიალებდნენ ეროვნული დროშები და სურათებიდან შემოგყურებდა ზვიად გამსახურდიას შთაგონებული სახე. მიტინგის დამთავრების შემდეგ, მანიფესტაცია დაიძრა ყოფილი ჩელუსკინელების ქუჩისაკენ, მაგრამ გზა გადაგვიღობა მილიციამ და მხედრიონის ბანდებმა. იმდენად მრავალრიცხოვანი ვიყავით, რომ ვერ შესძლეს ჩვენი შეჩერება, გავარღვიეთ მათი ჯაჭვი და მსვლელობა გაგრძელდა ხიდის მიმართულებით. მანიფესტაციას ბოლო არ უჩანდა. როგორც კი ხიდი გადავიარეთ, ცირკის გორაზე, ნაძვნარიდან სროლის ხმა მოისმა. თავიდან თითქოს საბავშვო პისტოლეტებიდან ისროდნენ. მანიფესტაცია შეტბორდა, წინ გზა ჩაგვიხერგეს ავტობუსებით და ამ დროს მასირებული ტყვიები წამოვიდა. დავინახე როგორც დაეშვა დროშა ძირს. მოისმა ქალების განწირული კივილი. „მოკლეს“ გამიელვა თავში. უცნობმა მამაკაცმა ხმამაღლა იყვირა, რომ სწრაფად გადაგვერბინა ხიდი. დამრბევები ხიდიდან წყალში გადაყრით გვემუქრებოდნენ. უკან მომავალი მანიფესტანტები და ჩვენ ერთმანეთს შევაწყდით. ყველაფერი აირია. ისმოდა ტყვიების ზუზუნი. ცირკის მოპირდაპირე მხრიდან, გეოფიზიკის და მათემატიკის ინსტიტუტის ტერიტორიებიდანაც გვესროდნენ. ხიდის ბოლოში ქალი ეგდო ძირს. ჩემს გვერდით მყოფმა ლამარა ჩივაძემ (ჩვენ ერთად გავრბოდით) წაქცეულს ხელი ჩაავლო, მეც მივეშველე და წამოვაყენეთ.

კინოსტუდიასთან ისევ მოიყარა თავი გამოქცეულმა და აღშფოთებულმა მომიტინგეებმა. სვლა გავაგრძელეთ ე.წ. „პლეხანოვზე“. მარჯანიშვილის მოედანს ვერც კი მივუახლოვდით, რომ სახლების სახურავებიდან აგვიტეხეს სროლა და დაიწყო ჩვენი დარბევა. თავს ვაფარებდით სადარბაზოებს. მხედრიონელები იქაც გვიცავდებოდნენ, ამიტომ ზემო სართულებზე ავრბოდით. როდესაც წივილ-კივილი ქუჩაში მიწყნარდა, დიდი სიფრთხილით გამოვედით. მარჯანიშვილის მოედანზე სისხლს რეცხავდნენ შლანგებით. მეორე დღეს ვიგებდით დაჭრილ-დახოცილების ვინაობას. მიუხედავად ხუნტისგან მიტინგების არნახული დარბევისა, კანონიერი პრეზიდენტის მხარდამჭერი მანიფესტაციები და დაუმორჩილებლობა მაინც გრძელდებოდა.



ლამარა ჩივაძე: 1992 წლის 2 თებერვალს, ჩემს თანამოაზრე ნათელა ბარამიშვილს შევხვდი და წავედით ვაგზლის მოედანზე, რომ გამოგვეხატა მხარდაჭერა განდევნილი კანონიერი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიასა და მთავრობისადმი. მიტინგის შემდეგ გაიმართა მანიფესტაცია. ამ მსვლელობაში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული უამრავი ხალხი. დემონსტრანტები დავიძარით მთავრობის სახლისაკენ. გზა გადაკეტილი იყო მანქანებით. ცირკის მიმდებარე ტერიტორიიდან გაისმა სროლა. ხალხი არ განძრეულა, მაგრამ მერე რაც მოხდა ძნელია გადმოსცე. ატყდა საშინელი სროლა, პირდაპირ ესროდნენ მშვიდობიან მანიფესტანტებს. მამუკა ტერიშვილს დროშისთვის ხელი არ გაუშვია, ისე მოგვიკლეს ჯალათებმა. მერე ხალხმა დაიწყო უკან დახევა. ჩვენები ყვიროდნენ „ხიდი ჩქარა გაიარეთო“, თურმე სისხლისმსმელებს ხიდიდან გადაყრა უნდოდათ ხალხის. მომიტინგეები გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს. ზოგი სადარბაზოებს აფარებდა თავს, ზოგიც ეზოებს. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობდა ჯალათი გელა ლანჩავა. გვიან ღამემდე ვეძებდით ერთმანეთს, მაგრამ ბოლოს მინდა დავამთავრო, რომ არ არის ძალა ჩვენი შემჩერებელი, სანამ კანონიერება არ აღდგება საქართველოში.

ნანა დგებუაძე (ქალბატონი ნანა 1989 წლის 9 აპრილს მძიმედ დაშავდა. ის უგონო და უიმედო მდგომარეობაში აღმოაჩინეს მთავრობის სასახლის კიბეებთან, რის შემდეგაც ტრავმირებული დარჩა, მაგრამ 1992 წლის 2 თებერვალს სახლში არ დამჯდარა და თავისი თანამემამულეების და სიმართლის გვერდით დადგა): 2 თებერვალია, კვირაა. მთელ ღამეს თეთრად ვათენებ. გული მიგრძნობს, მძიმე დღე გვექნება. დილით ადრე გავედი შინიდან. ვაგზლის მოედანი, მეტროს შემოგარენი პოლიციელებითაა გაწითლებული. გუშინდელ დღეს ვინ გვაპატიებს. არ ელოდნენ ამდენი თუ ვიქნებოდით. მეტროსთან შეხლა-შემოხლა, პოლიციელები ზოგს პასპორტს უმოწმებენ. ხალხის ნაკადი ელვის სისწრაფით მატულობს, თვალს ვერ ვაწვდენ, სად თავია და სად ბოლო. დიდხანს გაგრძელდა მიტინგი. სახანძრო მანქანამაც მოგვაკითხა. წყლის ჭავლი მომართეს ჩვენსკენ, წყალი რას მიქვია, ტყვიას არ უშინდება ხალხი. მანიფესტაცია თამარ მეფის ხიდისკენ წარიმართა. გზა გადაკეტილი დაგვიხვდა. ჯერ წყლის ჭავლი გამოუშვეს, მერე კი ატყდა ავტომატების კაკანი. უკან ვიხევთ. ტყვიების სეტყვა მატულობს. ჩემს თვალწინ დაეცა პატარა მედროშე. სისხლის ტბორებია ჩემს ფეხებთან. აგერ, მთასავით კაცმა მუცელზე წაივლო ხელი. თითებიდან სისხლი ჟონავს. არ ძალმიძს ამ საშინელების გადმოცემა. აღმაშენებლის გამზირზე გადავუხვიეთ. უცებ ხალხის ტალღაში თეთრი „ნივა“ შემოვარდა სროლით. ღმერთო, დაგვიფარე, კვლავ წინ მივდივარ. გუგუნებს აღელვებული ხალხი. მოგვიკლეს ბიჭები! - გაისმის შეძახილები. მარჯანიშვილის მოედანზე კვლავ ტყვიები დაგვიშინეს. ისევ დაჭრილნი... ისევ სისხლი... მამას მხრებზე შესმული პატარა ბავშვი მოუკლეს. ხალხი იმალება მაღაზიის დახლებში, სადარბაზოებში. მე, მერაბისა და ზვიადის სურათები მიჭირავს ხელში და განწირული ხმით ვყვირი: ესროლეთ! კიდევ ესროლეთ! მოულოდნელად ვიღაცამ ბუმბულივით გამიტაცა და იქვე ეზოს შევეფარეთ. რა დროს ეგაა, ქალბატონო, ბე-ტე-ერ-ები მოდიან! ნაცნობს ვერავის ვხედავ, თუმცა საერთო გასაჭირში ყველა ერთად ვართ. სადარბაზოშიც შემოიჭრნენ. თავს უშველეთო, ვიღაცამ იყვირა. კიბეებზე ავრბივართ. ბოლო სართულზე ერთ-ერთ ბინაში შევვიფარეს, მაგრამ გაირკვა, მასპინძლები არ თანაგვიგრძნობდნენ. ამ სახლში დარჩენას სიკვდილი გვერჩივნა. გამოვედით ბინიდან, რისვაივაგლახით მივედით მეტრომდე. აქაც შემოიჭრნენ „რაინდები“ და ავტომატის ჯერი მოგვიშვეს. როგორც იქნა ვაგონში შევედით, საშინელი დღით გაოგნებული მივედი შინ. საწოლზე დავემხე ტირილით.

2 თებერვალს საკმაოდ ბევრი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ყველა მათგანის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან ხუნტის მხრიდან დაშინებული იქნა დაღუპულთა ოჯახები, ემუქრებოდნენ ოჯახის სხვა წევრების ფიზიკური ანგარიშწორებით. ამაში, ასევე, უდიდესი ბრალი მიუძღვით ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს, საავადმყოფოების მედპერსონალს, ვინც შეგნებულად დამალა და გასაიდუმლოებულად დატოვა დაღუპულთა და დაჭრილთა გვარები, ისევე, როგორც ცხრა აპრილს.

გთავაზობთ დაღუპულთა არასრულ სიას: მამუკა ტერიშვილი - 18 წლის; ზურაბ ჯავახიშვილი - 15 წლის; იმედო ჭანტურიძე; იური ტალახაძე - 42 წლის; გერონტი ლიპარტელიანი - 25 წლის; გურამ ლოლაძე; ალიკო დავრაშვილი - 29 წლის; ზურაბ დიდებაშვილი - 17 წლის; ტარიელ ხერკელაძე; მიხეილ ფოლადაშვილი; ტრისტან ცერაძე.

ისინი გმირები არიან და გმირულად აღესრულნენ სამშობლოსათვის, საქართველოს თავისუფლებისათვის, კანონიერი ხელისუფლების და პრეზიდენტის მხარდაჭერისათვის, საკუთარი სიმართლის დაცვისთვის. მოდით, ნუ დავივიწყებთ მათ სახელებს და როგორც მათ ეკადრებათ, ისე მივაგოთ პატივი მათი სულის მოსახსენიებლად. საუკუნო ხსენება მათ სახელებს!

P.S. მე, აქვე არ შემიძლია პროტესტი არ გამოვთქვა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ზე გასულ თომა ჩაგელიშვილის გადაცემაზე, სადაც სხვა ისტორიული მოვლენების და ფაქტების დამახინჯების, ცალსახად გაშუქებისას, ასევე სიყალბით იქნა გაშუქებული 2 თებერვლის მოვლენებიც. შეგნებულად ამოღებული იქნა მომიტინგეთა მკვლელობის და დაღუპულთა ცხედრების კადრები. სრულიად საქართველოს შეურაცხყოფა იყო, როცა მშვიდობიანი მიტინგების დარბევებზე კომენტარი გააკეთებინეს თავად მანიფესტანტთა დახვრეტებში გამობრძმედილ ჯაბა იოსელიანს, რომელმაც, როგორც ყოველთვის, თავისი დანაშაულის დაფარვის მიზნით, სულელური ნაბოდვარი მოჩმახა.

ბატონო თომა, თქვენ თუ სიმართლის მაძიებელი ჟურნალისტი ბრძანდებით, არ გეკადრებათ მსგავსი შეთითხნილი გადაცემები. თუ ობიექტური ჟურნალისტი ხართ, ხელი არ უნდა შეუწყოთ მასმედიის საშუალებით სიყალბის დამკვიდრებას, მაგრამ საკითხავია, თქვენ სიმართლეს ემსახურებით თუ გარკვეული სპეცსამსახურის დავალებებს ასრულებთ?

ჩემი დაწერილი მასალა ეძღვნება 2 თებერვლის ტრაგიკულ მოვლენას, ამიტომ ბატონო თომა, ზომიერების ფარგლებში შევძელი თქვენ მეხსენებინეთ, რადგან არც გაზეთი და არც დღევანდელი ჩემი წერილი არ მაძლევს უფლებას, თქვენ როგორც გეკადრებათ, ისეთი რეპლიკებით და „დითირამბებით“ მოგმართოთ.



*ირაკლი შონია*

## საზოგადოებას არ უნახავს იმ საზარელი ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური კადრები

*დღევანდელმა საზოგადოებამ, მით უმეტეს ახალგაზრდობამ, ნაკლებად იცის სისხლით მოსული მთავრობის მიერ 1992 წლის 2 თებერვალს ვანდალურად დარბეული მიტინგის შესახებ რაიმე. იმ დღეს მრავალი ადამიანის სისხლი დაიღვარა. ისინი მხოლოდ ერთს - სამართლიანობის, კანონიერების აღდგენას მოითხოვდნენ. 10 წელი გავიდა 2 თებერვლის ტრაგედიიდან. საზოგადოებას არ უნახავს იმ საზარელი ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური კადრები და არავინ იცის, როდის მიეცემა ამის შესაძლებლობა. პატივცემულო მკითხველო, ჩვენმა რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია შემოეთავაზებია თქვენთვის თვითმხილველთა ნაამბობი. იქნებ მცირეოდენი ნათელი მაინც მოეფინოს ბევრისთვის წყვდიადით მოცული თებერვლის სისხლიან დღეს.*

### 2 თებერვალი, 1992 წელი

შევიკრიბეთ ვაგზლის მოედანზე. ხალხი ძალზე ბევრი იყო. დავიძარით გმირთა მოედნის მიმართულებით. როცა ცირკს მივუახლოვდით, გაისმა გასროლა. პირველად ამას არავითარი პანიკა არ მოჰყოლია, რადგანაც მიჩვეული ვიყავით. მაგრამ როცა სისხლში მოთხვრილი ადამიანები დავინახეთ, მაშინ კი ავირიეთ. ხალხმა დაიწყო შეგროვება ძველ კინოსტუდიასთან, საიდანაც შემდგომ გაემართა მეტრო „მარჯანიშვილის“ მიმართულებით. კვლავ ატყდა ძლიერი სროლა. ისროდნენ სახლებიდან, ავტომანქანებიდან, ისროდნენ შუა გზაში მდგომნი. შეშინებული ხალხი მიმოიფანტა. ქუჩაში შემოიყვანეს ჯავშნიანი და ვილისის მსგავსი მანქანები, რომლებიდანაც ისევ განუწყვეტლივ ისროდნენ. მათ უკან მოყვნენ ქვეითი ავტომატიანები... შავ სამოსიანი ავტომატიანი გამხეცებული იძახდა: „კიდევ ზვიადი გინდათ, თქვენი დედა!.. დაიწყო სროლა. გამოვიქეცით, მე და 20-მდე კაცი ერთმა მცხოვრებმა შეგვიფარა. იქ დავყავით ერთ საათზე მეტი. შემდეგ დავიშალეთ. ჩავედი მეტროში, უკვე



სწრაფად დასრულდა მომიტინგეებისაგან „ქუჩის წმენდის“ სეანსი

ბნელოდა. იქ მყოფი ადამიანების უმრავლესობა, ეტყობოდა მიტინგზე იყო ნამყოფი. 5 წუთში მეტროში ექვსი ავტომატიანი ახალგაზრდა ჩამოვიდა და საშინელი სროლა ატეხა. ატყდა საშინელი კივილი. თითქმის ყველანი პირველივე მატარებელს გავყევით. საშინელება იყო.

....

როგორც წინა დღეს, 2 თებერვალსაც სადგურის მოედანზე 200 ათასამდე მომიტინგემ მოიყარა თავი. მანიფესტაციით დავიძერით თამარის ხიდისაკენ. როცა ტალღამ ცირკის შენობას მიაღწია, ატყდა სამმხრივი სროლა. მე პირადად დავინახე, როგორ ჩამოატარეს მომაკვდავი (თუ უკვე მკვდარი) ახალგაზრდა.

ვაგზლის მოედნიდან კვლავ მოდიოდა ხალხის ნაკადი. გმირთა მოედნიდან კი ისროდნენ. ხალხისაკენ მომავალ ტანკს უკან მოჰყვებოდნენ ავტომატიანები. ისინი ძალიან ახლოდან ისროდნენ. მანძილი მათსა და ხალხს შორის ცოტა იყო. როგორც შემდეგ თქვეს მათ ეხმარებოდნენ უფორმო ბიჭები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. მე ჩავედი მარჯანიშვილის მეტროში, იქ ვიპოვე ჩემი ამხანაგი და დავიწყეთ ლოდინი, გვინდოდა მესამე ამხანაგიც გვეპოვა. ამ დროს ჩამოვიდნენ ავტომატიანები, მოგვიღერეს იარაღი და აყვირდნენ: რას დგახართ, წადით, მე თქვენიო... შეშინებული ხალხი მივაწყდით ვაგონებს. მე პირადად იმ დღეს ბევრი დაჭრილი ვნახე.

*თეა ცირეკიძე*

# ცოცხანი ვართ, მაგრამ ღმერთმა გაგვაჩინა ქართველებად!

***

რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე, -
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს...

***

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მთებს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!
დაუკარით, ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში,
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

ლადო ასათიანი



„ქართულ ცეკვებს გარდა ქართველისა ვერ იცეკვებს ვერავინ, რასა არ ეყოფა... ცეკვა თითქოს წყდება, არ კი თავდება. ეს ბეჭედია ქართული რასის და მისი სირაინდის. რიტმი სადა, მაგრამ ლამაზი, როგორც პირველსუნთქვა ატეხილი ჭალების; ხალისი პირველმოლხენისათვის, ეს პირველრიტმი უფრო ლაღია და ზღურბლგადამლახავი. ცეკვავენ ერთსა და იმავეს, მაგრამ - ახლა გვარობით. ერთი გვარი ერთი იერით ცეკვავს. მეორე - სხვა რიგათ. მესამე - კიდევ სხვანაირად. ირჩევა არა მარტო რასა მთელის - არამედ ჯიშიც ცალკეულ გვარის.

გრიგოლ რობაქიძე
„გველის პერანგი"

## ქართველებო, დაიცავით საკუთარი უფლებები!

დღეს, როცა ადამიანების უფლებები საშინლად ირღვევა და დამნაშავეთა უმრავლესობა დაუსჯელია, როცა განუკითხაობა ცხოვრების წესადაც კი იქცა, სამწუხაროდ მოქალაქეები არ იცნობენ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას", არადა იგი ყოველი ერის, ყოველი პიროვნების არა მარტო უფლებების, არამედ თავისუფლების გარანტიაა.

გთავაზობთ მის რამდენიმე მუხლს:

არავინ არ უნდა იქნეს თვითნებურად დაპატიმრებული და დაკავებული ან განდევნილი.

ნებისმიერი ადამიანის მიმართ წამებისა და სისასტიკის გამოჩენა, არაადამიანური, პიროვნული ღირსების ხელმყოფელი მოპყრობა და სასჯელი უნდა აღიკვეთოს.

ყოველ ადამიანს აქვს ცხოვრების, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს ამ დეკლარაციით გამოცხადებულ ყველა უფლებებსა და თავისუფლებას განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ნაციონალური თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ადამიანი უფლებამოსილია უდანაშაულოდ ჩაითვალოს, სანამ მისი დანაშაული დადგენილი არ იქნება კანონის მიერ ღია სასამართლოს პროცესზე, რომლის დროსაც იგი უზრუნველყოფილი იქნება დაცვის ყოველგვარი საშუალებებით.

ამ უფლების გამოყენება აღკვეთილი უნდა იქნას მხოლოდ იმგვარი დევნის შემთხვევაში, რომელიც არაპოლიტიკური დანაშაულის ჩადენის ან იმგვარი ქმედებისას აღიძვრის, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერთა ორგანიზაციის მიზანსა და პრინციპებს.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება დევნის შემთხვევაში ეძიოს თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფარით.

ყოველ ადამიანს აქვს საშუალება იმყოფებოდეს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სამსახურში.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქვეყნის მართვაში, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.

## ვიმედოვნებთ!

### (მკითხველთა წერილების მიმოხილვა)



რედაქციაში მრავალი წერილი მოდის, რომლებიც „ქუჯიში" დაბეჭდილი წერილების თავისებური ანალიზია მოცემული. ყველაზე დამახასიათებელი ის არის, რომ თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს დღევანდელ ცხოვრებას და პოლიტიკას ეხება.

გურამ მაღლაფერიძე წერილში „დავმარცხდით" ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: „წაგებულები თუნდაც იმიტომ ვართ, რომ დავკარგეთ სამაჩაბლო, დავკარგეთ აფხაზეთი და რაც მთავარია - ადამიანები. ეს საშინელი ტრაგედიაა ჩვენი ერისთვის, ირგვლივ თითქოს ძინავს ხალხს, ნუთუ ხმის ამაღლება უსამართლობის წინაშე ასე ძნელია? უნდა გითხრათ, რომ საზოგადოებაში შიში ითესება".

მარი თავრაზიშვილს ყოველივე უბედურების სათავედ ქართული მენტალიტეტი მიაჩნია. ემოციებს აყოლილი ავტორი გვწერს: „უარესი გვეკუთვნის, ერთმანეთის გაუტანელი ერი ვართ. ვისაც სურს ის ჰყიდის საქართველოს და არაფერს ვამბობთ. სავარძლებში წამოჭიმულან, ქვეყანას ჭამენ და არავინ ხმას არ იღებს, ყველა გმირს უცდის, თითქოს ზეციდან უნდა მოვიდეს და გვიხსნას. სხვისი ხელით ნარის გლეჯა გვიყვარს ქართველებს".

მკაცრად არის ნათქვამი, მაგრამ ზედგამოჭრილია ზოგიერთის მიმართ, ისე კი, ღმერთმა ნუ ქნას, მთელი ქართველი ერი ასეთი იყოს.

დინარა მახარაძის წერილის უმთავრესი თემა შიდა ქართლი და აფხაზეთია. „სამაჩაბლო ხომ წავგვართვეს ისე, რომ არაფერი გაგვიგია, აფხაზეთიც ზედ მიაყოლეს, ვითომ აქაც არაფერიაო. რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო. ამდენი სისხლის ღვრები კლავს საქართველოს, მაგრამ რა, ე.წ. ხელისუფლებას სულაც არ ადარდებს ეს. რამდენიც გინდა წერე, თავისას მაინც აკეთებს".

*ეკონომიკურ სიდუხჭირესთან დაკავშირებით უამრავი წერილია მოსული. ავტორები საყვედურს გამოთქვამენ გაუცემელი, დაგვიანებული ხელფასების, მაღალი ფასებისა და სხვა მახინჯი მოვლენების მიმართ. მოგვმართავენ დახმარებისათვის და შველას ჩვენგან მოელიან.*

*ჩვენი გაზეთის რედაქცია ისევ და ისევ მადლობას უხდის წერილთა ავტორებს ჩვენდამი გამოჩენილი ნდობისათვის და იმედოვნებს, რომ მალე მოვა დრო, როცა ბოლო მოეღება უსამართლობის პარპაშსა და ზეიმს საქართველოში. ვიმედოვნებთ!*

*ლელა ხაჭაპურიძე*

„ქუჯის" ფოსტა

ვლადიმერ (კუჭუ) ულენტი

## ვინ აგებს პასუხს დაღვრილ სისხლზე?!

მეგობრებო, დაავადება არც სირცხვილია და არც დასაძრახისი, მაგრამ ადამიანი, რომელიც დაავადებულია ფსიქიკურად, ან სხვა რაიმე მძიმე დაავადებით, არ შეიძლება საპასუხისმგებლო საქმეს ედგეს სათავეში; მითუმეტეს - სახელმწიფო მმართველობაში! მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა თანამედროვე ფაქტობრივი ხელისუფლების შემადგენლობისა ფსიქიკურად არასრულფასოვანია, მაგრამ შერაცხადი - ანუ პასუხს აგებენ ჩადენილ დანაშაულზე. დანაშაული კი ძალზე მძიმეა... „სახელმწიფოს მეთაურის", იგივე „პრეზიდენტის" წყალობით, საშინელი ბოროტებაა ჩადენილი საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. ამდენად, სახელმწიფოს მეთაურის და მისი ამალის გადადგომა მათთვის შვებაა. ისინი სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგნენ როგორც დანაშაულებრივი სახელმწიფოს შემქმნელები. ისინი უნდა გასამართლდნენ სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთანავე. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი თავის წიგნში, რომელიც მან ნიურნბერგის პროცესიდან ერთი წლის შემდეგ გამოსცა, წერს: „ან ჰიტლერს რა შხამი ჰქონდა ისეთი, რომ სულ რამდენიმე წელიწადში მოწამლა ამდენი ხალხის გონება; ისიც საინტერესოა გავიგოთ, თუ როგორ შემზადდა ეს საწამლავი გერმანიაში, რომელსაც პოეტებისა და მოაზროვნეების ქვეყანას უწოდებდნენ (როგორ მოწამლა შევარდნაძემ ამ მოკლე ხანში ქართველი ერის უმცირესი ნაწილი, რომელმაც უსაშინლესი ბოროტება ჩაიდინა?!). გერმანელებს ოთხგვარ დანაშაულთან აქვთ საქმე: ეს არის კრიმინალური, პოლიტიკური, მორალური და მეტაფიზიკური. პირველის ხასიათი ყველასათვის ცხადია; მეორე - საერთაშორისო სამართლის სფეროა; მესამე სინდისის სამსჯავროსი, ხოლო მეოთხე გულისხმობს აზრს: დანაშაული არ ჩამიდენია, მაგრამ არც არაფერი გამიკეთებია მის აღსაკვეთად... რაც შეეხება მორალურ დანაშაულს, აქაც დიდი განსხვავებაა გერმანელთა შორის. კარლ იასპერსი წერს, რომ „ჰიტლერი და მისი დამქაშები თავისუფალნი არიან ასეთი დანაშაულისაგან (ასევე შევარდნაძე და მისი ამალაც!), რადგან არ გრძნობენ ამას; არც შეუძლიათ მოინანიონ, ან გარდაიქმნან. მათ წინააღმდეგ მხოლოდ ძალაა საჭირო, რადგანაც თვითონაც მხოლოდ ძალას ეყრდნობოდნენ. მორალური დანაშაული მოქმედებს იქ, სადაც სინდისთან და მონანიებასთან გვაქვს საქმე. ეს ეხება მათ, ვინც იცოდა, ან არ უნდა სცოდნოდა რა საშინელება ტრიალებდა გერმანიაში, მაგრამ თავს ნიღაბს აფარებდა (როგორც ნაწილი ჭკვიანი „წინდახედული ქართველებისა"!)".

ე. შევარდნაძემ, როგორც შემსრულებელმა, უდიდესი როლი ითამაშა გორბაჩოვ-ბუშ-გენშერ-ბეიკერის დანაშაულებრივ ალიანსში. მაგრამ მას ასევე არანაკლები როლი ეკისრებოდა, როგორც დამვალებელს! მეგობრებო, შევარდნაძეს უნდა, რომ წაშალოს ეროვნული გმირების - ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით სულჩადგმული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაპოვარი. ამის ნათელი მაგალითია მისი მცდელობა - მიჩქმალოს 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის უდიდესი მნიშვნელობა და ამ ღირსახსოვარ თარიღს გლოვის დატვირთვა მისცეს მხოლოდ (ეს დღე მისთვის მართლაც რომ გლოვის დღეა!). მან სამამულო ბრძოლა კანონიერი ხელისუფლებისათვის აფხაზეთში „სამამულო ომში" გადაზარდა. იგი ეროვნულ გმირობას აპირებს, და თანაც ალბათ, მერაბ კოსტავას გვერდით განსვენებას! მას ვერ მოუნელებია ის, რომ ზვიად გამსახურდია არა მარტო ეროვნული გმირია, არამედ მსოფლიო მოვლენაა. რომ მისი „დიდი დიპლომატია" და „მსოფლიო პოლიტიკოსაობა" ზვიად გამსახურდიას პოლიტიკოსობასთან და დიპლომატიასთან უწიგნური მოსწავლის ლუღლუღად მოსჩანს; იგი ვერ იტანს იმას, რომ ზვიად გამსახურდია უაღრესად განსწავლული იყო და რომ იგი ერს უყვარს; თვითონ კი ერს სძულს! ამიტომაცაა, რომ მან სამეგრელოს განსაკუთრებით „მოუარა". მას უნდოდა სამეგრელოსა და დანარჩენ საქართველოს შორის შუღლი ჩამოეგდო, მაგრამ ის კი დაავიწყდა (თუმცა როდის იცოდა!), რომ ქართველი ერი ბრძენია, რომ ქართველი ერი შევარდნაძის, მისი ამალის და მომხრეთა ნამოქმედარით არ სჯის.

მეგობრებო, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა განაგრძობს შეუპოვარ და სამართლიან პოლიტიკურ ბრძოლას.

ჩვენთან არს ღმერთი!

ელდარ მამარდაშვილი

## კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლა გრძელდება

პატივცემულო რედაქციავ, თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები საქართველოს დარდია, ტკივილია, საშველად გამოწვდილი ხელია.

არ მეგონა, თუ დღეს საქართველოში კვლავ მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომლებიც უზნეობის მორევში ჩაძირულ საზოგადოების ნაწილს ზნეობისაკენ, სიმართლისა და სიწმინდისაკენ მოუწოდებდნენ. როდესაც საქართველოს გასული ათი წლის ისტორიას გადავხედავ, ვხედავ, რომ თქვენ არ გადაგიხვევიათ არჩეული გზიდან, როგორც ეს ბევრმა, ჩვენთვის ცნობილმა პიროვნებამ გააკეთა. ეროვნული ხელისუფლების აღდგენის მოსურნეებმა იცით, რომ დრო და ჟამი სიმართლეს ვერ აყალბებს და ვერ ცვლის.

თქვენი გაზეთის მეშვეობით ვეცნობით ჩვენთვის უცნობ ფაქტებს. იმას, თუ რამდენი მოწამე ყოლია დღესაც კი საქართველოს და რომ კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლა გრძელდება.

მადლობა ღმერთს, რომ კანონიერი ხელისუფლება არსებობს და თქვენივე მეშვეობით ვგებულობთ მისი საქმიანობის შესახებ.

„ქუჯი" ქართველებში ეროვნულ თვითშეგნებას აღვიძებს. მადლობა ქართული სულისკვეთებისათვის, ქართული ცნობიერებისათვის.

აბესალომ ხაჩიძე

## რით დავიმსახურე?

უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი გამოაქვეყნოთ ჩემს საყვარელ გაზეთში.

გასული წლის 17 აპრილს ვიყავი ხაშურის რაიონის სოფელ აქვისში, სადაც ავიდგი ფეხი და ჩემი მშობლები და ნათესავები არიან დასაფლავებულნი. ვიყავი საფლავზე მათი სულის მოსახსენებლად. მერე გამოვედი ჩემი სოფლის გზაზე, მოსაცდელ ადგილას, მივდიოდი თბილისში, შემდეგ კი რუსთავში. საჩხერის მხრიდან გამოიარა წითელმა 07 მარკის „ჟიგულმა" NIA 616. შევეკითხე, თუ გაქვს ადგილი-მეთქი. იმას უთქვამს (ვერ გავიგონე) არა მაქვსო. ჩაისხა ბენზინი. მე წინა კარები გამოვაღე, შიგ შესვლას ვაპირებდი. თურმე ორგანოს თანამშრომელი ყოფილა. ეცვა სამოქალაქო ფორმა. მანქანიდან გადმოიღო „დუბინკა", მირტყა, დამასისხლიანა, მაგინა, იძრო პისტოლეტი. მეც ველარ მოვითმინე ამდენი უსამართლობა და ხელი შევუბრუნე. შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა ქალი, მანაც მლანძღა, მაგინა, მირტყა და განაგრძეს გზა თბილისისაკენ. მას შემდეგ უკვე რვა თვეა გასული. მე კი ვერავინ ვერაფერში გამარკვია, რა დავაშავე, რატომ დავისაჯე. იქნებ თქვენ დამეხმაროთ, დაადგინოთ ვინ იყო ის პიროვნება, ნუთუ ასე უნდა შერჩეს 77 კაცის ცემა-დასისხლიანება. სამამულო ომის მონაწილემ, შრომის პენსიონერმა, სმენანაკლულმა კაცმა მისი თავდაპირველი უარი ვერ გავიგონე და ესაა ჩემი დანაშაული. ვისაც შევეკითხე, მითხრეს, ახალციხის ან ბორჯომის მანქანა ყოფილაო...

*რედაქციისაგან: ვასრულებთ ბატონი აბესალომის თხოვნას, ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმც კარგად ვიცით, რომ ჩვენამდე მან მრავალ ინსტანციას მიმართა, მაგრამ ჯერჯერობით ნორმალური პასუხი ვერავისგან მიიღო. არადა, სამართლებრივ ქვეყანაში დაუსჯელი ნამდვილად არ უნდა დარჩენილიყო გაზულუქებული „წესრიგის დამცველი", რომელმაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე ამგვარი შეურაცხყოფა მიაყენა მოხუცს, ჯანგატეხილ ადამიანს. ჩვენი სამართალდამცავები ხომ ზოგჯერ იქაც პოულობენ დამნაშავეს, სადაც ის არ არის.*

*ვნახოთ, რა რეაგირება მოჰყვება ამ წერილს.*

ეს ჩვენი ისტორიაა

# საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარების პარპაშის ისტორიიდან

*„რაც კარგი ექნას რუსისა მტიკსა, ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს".*
*წმიდა ილია მართალი*

ძვირფასო მკითხველო!

როგორც ვხედავთ, წერილის სათაურშია არა „ისტორია", არამედ „ისტორიიდან". ეს იმიტომ, რომ როგორც მეფის რუსეთის, ისე სატანა ლენინის მიერ განახლებული იმპერიის - ბოროტების იმპერიის - და ე.წ. დემოკრატიული რუსეთის საოკუპაციო ჯარების ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში სისხლიანი პარპაშის შესახებ ერთი წერილი კი არა, მთელი ტომები დაიწერება, რასაც, ეჭვგარეშეა ქართველი მემატიანენი მომავალში აუცილებლად გააკეთებენ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი მუხანათობითა და ვერაგობით, გეორგიევსკის ავადსახსენებელი ხელშეკრულების (1783 წ.) თავხედურად ფეხქვეშ გათელვის გზით ჩაიგდო ხელში რუსეთის იმპერიამ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო სახელოვან ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრებს რუსეთში უკრა თავი. იმერეთის სამეფო კი, რომელსაც სათავეში ედგა უშიშარი და სახელმოხვეჭილი მეფე სოლომონ მეორე, 1810 წელს ექვსი თვის გააფთრებული და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაიპყრო და კოლონიური მონობის უღელი დაადგა მას. იარაღის ძალით პატარა ქვეყნის დამორჩილებას უზარმაზარი იმპერიის მიერ აღიარებდა თვით პოლონელი ხალხის ჯალათი, კავკასიის მთავარმართებელი ალ. ტორმასოვი, რომელიც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს წერდა: „მისი უდიდებულესობის იარაღით იმერეთი დაპყრობილია"-ო.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე, რასაც შემდგომში იმერეთის სამეფოს გაუქმებაც მოჰყვა, რუსეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოიგლიჯეს ნიღაბი და წარსდგნენ ქართველი ხალხის წინაშე როგორც მისი სულთამხუთავები და ყოველივე ეროვნულის გამანადგურებელნი. სწორედ ამის გამოძახილი იყო კახეთის 1802 წლის, მთიულეთის 1804 წლის, ისევ კახეთის 1812-1813 წლების, იმერეთ-რაჭა-გურიის 1819-1820 წლების, გურიის 1841 წლისა და საქართველოში სხვა დროს მომხდარი აჯანყებები.

ვის დაინდობდნენ რუსი ოკუპანტები, რომლებიც ბაგრატიონთა ათასწლოვანი და სახელოვანი დინასტიის წარმომადგენლების მიმართაც კი წარმოუდგენელ თავხედობასა და შეურაცხყოფას მიმართავდნენ. მათი გათავხედებული მთავარსარდალი (რომელსაც მოგვიანებით ქ. ბაქოსთან გააგდებინეს თავი) ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს - საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების განსახიერებას - „გველების ბუდეს" უწოდებდა. უტიფრობა, ცინიზმი და დაპყრობილ-დამონებული ერის შეურაცხყოფა ამაზე შორს ვერ წავა!

გავიხსენოთ ისტორიიდან 1803 წლის 19 აპრილი. ამ დღეს საქართველოს მთავარმართებლის, ასევე პოლონელი ხალხის ჯალათის პ. ციციანოვის ბრძანებით გენერალი ლაზარევი ჯარისკაცთა ორი ასეულით თავს დაესხა მეფე გიორგი XII-ის მეუღლეს - დედოფალ მარიამს და მის ოჯახს მათი ძალადობის გზით რუსეთში გადასასახლებლად. როგორი „რაინდობაა", ძვირფასო მკითხველო, ერთ უმწეოდ დარჩენილ ქალსა და მის მცირეწლოვან შვილებზე ორასი კაცის თავდასხმა?! პასუხი რუსეთის სისხლიანი ჩექმების მლოკავთათვის, ეროვნულ ღირსება-თავმოყვარეობადაკარგულ არსებათათვის მიმინდვია.



დავუბრუნდეთ ამ სამწუხარო ამბავს. დედოფლის საძინებელ ოთახში თავხედურად შეჭრილ გენერალ ლაზარევს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს თავხედობა. მოძალადე გენერალი ხანჯლის ერთი დარტყმით განგმირა გმირმა დედოფალმა. რუსეთში ძალადობის გზით გადასახლებული დედოფალი მარიამი ეროვნული გმირის შარავანდედით შეიმოსა. ტყვეობა-გადასახლებაში გარდაცვლილი ქართველი ქალის ნეშტი მისმა თანამედროვე ქართველობამ სამშობლოში გადმოასვენა და დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით ჩვენი უმთავრესი სალოცავის - სვეტიცხოვლის ტაძრის ძვალშესალაგს მიაბარა.

მხედველობაში ჰქონდა რა რუს დამპყრობელთა მრავალი სიბილწე და სისაძაგლე, იმ დროის მოღვაწე მარტყოფელი მღვდელი ეგნატე იოსელიანი (ცნობილი მემატიანის პლატონის მამა) ნაღვლიანად წერდა: „არავინ ელოდა რუსთაგან ამას... ახლა ვხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა... ძლიერნი ძალითა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა. არადამფასებელნი ღირსებათა, ცივად გამხედველნი. ცივად მგრძნობელნი" (ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 204).

1802 წელს აჯანყებული კახელები ალექსანდრე I-ს ალშფოთებით წერდნენ, რომ მან 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით საქართველოსათვის მიცემული არც ერთი პირობა არ შეასრულა (მრავალსაუკუნოვანი სამწუხარო გამოცდილება გვასწავლის, რომ არავინ უნდა გაიბრიყვოს თავი იმის იმედით, რომ მოძალადე რუსეთი ოდესმე რომელიმე დაპყრობილ ქვეყანას რაიმე ცრუ დაპირებას შეუსრულებს!).

რუსეთის კოლონიური ხელისუფლებისა და საოკუპაციო ჯარების არნახულმა უსამართლობამ, ველურობამ, გულქვაობამ, სისასტიკემ და მხეცობამ გამოიწვია მთიულეთის 1804 წლის აჯანყებაც. თვითონ აჯანყებულნი თავიანთი გამოსვლის მიზეზებზე წერდნენ: „1) კაცისაგან თითქმის მოუთმენელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავწმინდეთ; 2) ჩვენგან გაკეთებულ ამავე გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს. ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის (კაზაკის - ა.მ.) ცხენს ფეხი ჩაუვარდა. მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოგვიკლეს...; 3) მოვიდა თოვლი და ამოივსო ჩვენგან გაკეთებული გზა. ისეთ დროს მიგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვარიდეს. წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანია. კიდევ ტიმოთემ (რუსი სალდათების უფროსი - ა.მ.) ხმლის ცემით მიგვყარა. წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა; 4) მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენოსანი ყაზახი. ამათ უნდოდათ დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი (ცხვარი - ა.მ.), ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს; 5) ცხენს და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა... 6) ორი დედაკაცი უღელში შებეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ (ხაზი ჩემია - ა.მ.)

აჯანყებულ მთიულთა მიერ ჩამოთვლილი მიზეზები სრულიად საკმარისია მთიულეთის მოსახლეობის შემზარავი მდგომარეობის წარმოსადგენად. ამიტომ სხვა მიზეზებზე (აჯანყებულნი სულ 11 მიზეზს ასახელებდნენ) სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ მეექვსე მიზეზის შესახებ დავძენ: ქალების, თანაც ქრისტიანების მიმართ ასეთი ამაზრზენი მხეცობის ჩადენა, ალბათ, არაბ, მონღოლ, ოსმალო და ყიზილბაშ დამპყრობთ გაუძნელდებოდათ.

დასასრულ ნამდვილად ჯოჯოხეთში ჩავარდნილი მთიულები სასოწარკვეთილნი წერდნენ: „ჩვენ რუსეთის ხელმწიფის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთსა ვთხოვდით, მაგრამ ამ ჯარმა უბედურების გარდა არაფერი მოგვიტანა (როგორც დღეს სამაჩაბლოში, აფხაზეთსა და სრულიად საქართველოში - ა.მ.). ახლა ამას ვითხოვთ, რომ სწრაფის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ... ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენლის მწუხარებისაგან. ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოვუკიდოთ, ცოლ-შვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენი ცოლების უწესო საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ. მარტო მთიულეთში ცემით ოცდაამი კაცი მომკვდარა სხვის გარდა" (ვ. ტოგონიძე. ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება, გვ. 77-78). რა შემზარავ მდგომარეობასა და აუტანელ ჯოჯოხეთში უნდა ჩაეგდო ხალხი, რომ ეს აფიქრებინო და დააწერინო!!!

სასოწარკვეთილმა მდგომარეობამ მრისხანე აჯანყებაში გააერთიანა მთიულები, მოხევეები და ფშავ-ხევსურები. აჯანყებულმა გლეხებმა ხელთ იგდეს კაიშაურის საგუშაგო, ჩაკეტეს საქართველოს სამხედრო გზა და ალყა შემოარტყეს დუშეთს, ანანურს, კობს, სტეფანწმინდას და ლარსს. ამ ცნობის მიღებამ გააცოფა იმ დროს ერევნის ციხესთან მყოფი ციციანოვი. იგი აჯანყებულთა წინააღმდეგ მებრძოლ რუს გენერლებს ბრძანებას აძლევდა: „დაუნდობლად სჩეხეთ და აკუწეთ მეამბოხენი. გაანადგურეთ მათი სოფლები... მათ ბინებში შესვლის დროს ხელი უნდა აიღოთ შეწყალების ყოველგვარ აზრზე, მათ უნდა მოექცეთ როგორც ბოროტმოქმედთ და ბარბაროსებს" (ნ. დუბროვინი. ამიერკავკასია, სპბ., 1866, რუსულ ენაზე, გვ. 351). და ასეთ ვანდალურ ბრძანებას იძლევა პოლონელი და ქართველი ხალხების სისხლში ამოთხვრილი ჯალათი, თვითონ მართლაც ბოროტმოქმედი, ბარბაროსი და კაცისმკვლელი. ამიტომ იყო, რომ შემდგომში ამ არამზადას ხალხმა შეუთხზა ლექსი:

*„კავკასიის დაპყრობაში*
*უდევს წილი,*
*წინ უძღოდა აფთარივით*
*ციციშვილი".*

ხალხის მიერ ნაძირალა ციციანოვის მტაცებელ და დაუნდობელ მხეცთან - აფთართან შედარება შემთხვევითი როდი იყო!

ერევნიდან დაბრუნებულმა მთავარმართებელმა, გენერლებთან ნესვეტაევთან და გლაზენაპთან ერთად, დაჭრილი მხეცის სისასტიკით დაიწყო აჯანყებულებისა და მათი სოფლების განადგურება (როგორც დღეს აკეთებენ პრივალოვ-პუტინის ჯალათები ჩვენს მოძმე ჩეჩნეთში!). ამასთან დაკავშირებით 9 აპრილის გმირის - ზაირა კიკვიძის მამა, პროფესორი აბელ კიკვიძე წერდა: „ნესვეტაევისა და ციციანოვის მიერ შექმნილმა რკალმა არა მარტო სტრატეგიული პუნქტები, არამედ რიგი სოფლებიც გაუნადგურა მებრძოლ გლეხებს. ციციანოვმა არტილერიის ცეცხლი გაახალა აჯანყებულთა სოფლების გასანადგურებლად... (აი, „მართლმადიდებელი" რუსეთის ნამდვილი ხელწერა!!! - ა.მ.). ბევრი სოფელი განადგურდა და ტყვედ იქნა წაყვანილი მამაკაციანი ოჯახები. ეს ოჯახები ჩასვეს გორის ციხეში, სადაც ისინი შიმშილისა და სიცივისაგან ერთიანად განადგურდნენ. მთიელთა აჯანყება მარცხით დამთავრდა. მოსახლეობა დიდად დაზარალდა. ბევრი ბრძოლაში დაიღუპა, ბევრი თავისი სახლ-კარით ცეცხლში გამოიწვეს. აჯანყების მონაწილენი, ვინც კი გადაურჩა არტილერიის ცეცხლს და შეიპყრეს, საპყრობილეში ჩასვეს, ზოგი ციმბირში (ნელი და მტანჯველი სიკვდილის სამეუფოში - ა.მ.) გადაასახლეს" (ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ., 1954, გვ. 60).

რუს ოკუპანტთა არანაკლებმა ვანდალიზმმა, უსამართლობამ და მხეცობამ გამოიწვია კახეთის 1812-1813 წლების აჯანყებანიც, რომლის შესახებაც მკითხველს გაზეთ „ქუჯის" მომდევნო ნომერში მოვუთხრობთ.

**აკაკი მათიაშვილი**

*პროფესორი,*
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

---

საუკუნეთა მანძილზე მრავალრიცხოვან მტერს ებრძოდა ქართველი ერი. ურყევ სულს, ნებისყოფას, გმირულ შემართებასა და თავისუფლებისაკენ თვგანწირულ სწრაფვას თაობებს შთააგონებდნენ იმ გმირთა სახელებიც, რომელნიც საკუთარი კეთილდღეობის უარყოფითა და საქვეყნო საქმისათვის თავდადებით ემსახურებოდნენ მშობელ ქვეყანას. ქართველთა ცხოვრება ისე აეწყო, რომ მტერი ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის მოსპობას ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრით ცდილობდა. ამიტომაც რწმენა ქართველი ადამიანისთვის თავისუფლებისა და ეროვნული სახის შენარჩუნების პირობად იქცა. ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა ბევრი მოღვაწე, რომელიც წინ აღუდგა საქართველოს დამპყრობელთ, ქვეყნის მოღალატეთ. ერისა და რწმენის ყველა მოღალატე კი ყოველთვის მოკვეთილი და უარყოფილია დედა საქართველოს მიერ.

# ღვთისა და კაცობრიობის წინაშე პირნათელი საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს!

ამ ბედკრულ საქართველოში უხსოვარი დროიდან რა ჯურის გაუბედურებელი ხალხი არ შემოხიზნულა და ყველას საქართველო მეორე სამშობლოდ მიუჩნევია. მაგრამ, ერთადერთი, ვინც თხოვნით, დიახ თხოვნით (და არა მუქარით ან ქურდულად) შემოვიდა საქართველოში, იყო ებრაელობა! აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ ქართველ ებრაელთა თითქმის სამიათასწლოვან თანაცხოვრებაზე საქართველოში, მაგრამ, იმას კი ვიტყვი, უცხო ქვეყანაში დასამკვიდრებლად თხოვნით რომ მიხვიდე, იქ დამკვიდრდე და ათასწლეულები იცხოვრო ისე, რომ იმ ქვეყნის ღალატი ერთხელაც გულში არ გაივლო, ამისათვის ჭეშმარიტად ბიბლიის - წმიდა წიგნის ერი, - დიდი კულტურის შვილი - ებრაელი უნდა იყო და არა უწიგნური ველური - ქაშაგ-ჩერქეზ-ყაბარდოელი-ადიღეაბაზა, ანუ იგივე აფსუა!

მე უკვე ვახსენე ქართველი ებრაელების კეთილი, ძმური დამოკიდებულება საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის მიმართ, მაგრამ ურია მასონები, შევარდნაძის გუნდის ხელით, დღევანდელ საქართველოში ეტაპობრივად ახორციელებენ ქართველი ერის ტანჯვა-წვალებასა და ქართული სახელმწიფოს გაუქმებას.

ამჯერად მკითხველს მინდა შევთავაზო სიონის ბრძენთა ოქმების მოკლე შინაარსი.

როგორც „სიონის ბრძენთა" ოქმებიდან ირკვევა, ქრისტეს მკვლელი იუდეველთა სულიერი შთამომავლობა უკან დახევას არ აპირებს, პირიქით, გახარებულია და ზეიმობს, ვინაიდან ხელთ იგდო მსოფლიო ბატონობის სათავეები. განსაკუთრებით 1992 წლიდან, ისინი არ მალავენ თავიანთ ეთნიკურ წარმოშობას და ყოველგვარ უპირატესობას დანარჩენ გოი (ბრიყვი) კაცობრიობასთან შედარებით. იმისათვის, რომ უფრო თვალნათლივ დავინახოთ ურია მასონთა ილუზიური თვითდაჯერებულობა, უპირატესობა და ზეალმატებულება, რომელიც მათ, თითქოსდა სხვა ხალხებთან შედარებით აქვთ, მოვუსმინოთ ერთ-ერთ მათგანს:

„ჩვენი დრო ბრუნდება, თუმცა იგი ჩვენგან არც არასოდეს წასულა, ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი, ისე, როგორც დედამიწაზე არსებული სიკეთე და ბოროტება. ჩვენ მუდამ ბევრი ვჩანვართ, რადგან სიკეთეზე ძლიერები და აგრესიულები ვართ და ჩვენი დამარცხებაც შეუძლებელია. ჩვენ შევიცვლით ფორმას, გარსს, ფერს, მოვერგებით ყოველგვარ პირობებს, მაგრამ სიკვდილს მაინც გადავურჩებით და გავიმარჯვებთ. ჩვენი მიზანია - ვიყოთ გამარჯვებული, თქვენი ხვედრი - იყოთ მონები. ჩვენ მოვასწარით სამუდამოდ ჩაგვენერგა თქვენში მონური გონება. კიდევ მოგიხდენთ უამრავ რევოლუციას და „პერესტროიკას". თქვენ მუდამ იბრძოლებთ სიმართლისათვის, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევთ მას. მე ვისაუბრებ შეუფარავად არა იმიტომ, რომ თავხედი ვარ, არამედ იმიტომ, რომ არ მეშინია. ჩემს უკან სსრკ-ის, სუკ-ის, ხელისუფლების, პროკურატურისა და უმაღლესი საბჭოს უდრეკი ძალაა. ჩვენს სალამურზე ცეკვავენ პრეზიდენტები და ჩვენს სურვილს ასრულებენ, აკეთებენ იმას, რაც გვსურს.

მიგვიფურთხებია რადიკალ-დემოკრატებისათვის, თუნდაც მილიონად ქცეულან, ჩვენ მოვერევით. შეგიძ-

გვ. 8

კირიონ კათალიკოსი

# ქართული ხატწერა რუსულ ტაძრებში

მოსკოვის სასახლესთან არსებულ სახატე პალატაში (XVIIს.) ინახებოდა ბერძნული და ქართული ხასიათის ბევრი ხატი. როდესაც ათვალიერებთ ამ საინტერესო ნუსხას (რომელშიც 13 ქართველი წმიდანია ჩამოთვლილი), ძნელი არ არის მიხვდეთ, რომ ეს ქართული ხელწერის ხატები ორიგინალებია. ისინი წარმოადგენენ ნიმუშებს მეფის ხატმწერთათვის, რასაც ადასტურებს პავლე მოციქულის სახელობის საიარაღო პალატაში მომუშავე მხატვართა მოწმობებიც. გამომდინარე აქედანაც, ცხადია, რომ მაშინდელი რუსული საეკლესიო ფერწერა განიცდიდა ქართული მხატვრობის გავლენას. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსი მეცნიერები საერთოდ დუმილით უვლიან გვერდს ამ ფაქტს, ხმამაღლა არ აღიარებენ საქართველოს კულტურულ როლს რუსეთის ისტორიაში.



ქართული ხატწერისათვის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ ხატის გამოსახვისას მხედველობაში ჰქონდათ არა მომხიბლავი ნათელი ფერები და კომპოზიციის სიჭრელე, არამედ ის, რომ ღრმა შინაარსით გადმოცემულიყო უწმიდესი საგანი, რასაც უნდა გამოეწვია სალოცავი განწყობილება, მოკრძალება და ეჩვენებინა რელიგიის სულიერი და არა მატერიალური, გარეგნული სილამაზე. ჩვენამდე მოღწეულ ძველ ქართულ ხატებსა და ფრესკებს აღტაცებაში მოჰყავს მლოცველები და საეკლესიო ფერწერის მცოდნენი. ძველ რუსეთში ცნობილი ხატები, რომლებიც შესრულებულია გრძელი, პირდაპირი ხაზებით, ორ ან სამ მუქ საღებავში, წმიდანთა დაგრძელებული სახეებით, გაჩნდა ქართული ხატწერული სკოლის გავლენით. ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელზეც ღვთისმშობელს გრძელი სახე აქვს, ქართული ხატწერის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ამ დამახასიათებელი ნიშნებით განასხვავებდა უწმიდესი პორფირი (უსპენსკი) ქართულ ხატწერას ბერძნულისაგან. იგი თავის სტატიაში „ახალი სიტყვა ათონ-ივერის ღვთისმშობლის ხატის შესახებ“ აკეთებს დასკვნებს, რომ ღვთისმშობლის ხატის ფერწერული ხასიათი, თქმულება ამ წმიდა ხატის გამოცხადების შესახებ ათონის მთაზე და ქართველი მამა გაბრიელის მიერ მისი ზღვიდან გამობრძანება, ხატის არსებობა ქართველთ ხელში ათონის სავანის დაარსებამდე და ბოლო ჟამს მისი კვლავ საქართველოში დაბრუნება მეტყველებს ხატის ქართული წარმომავლობის შესახებ. ეპისკოპოსი პორფირი აგრძელებს: ივერიის მონასტრის საკურთხეველში გამოხატულია ღვთისმშობელი მთელი ტანით, მარჯვენა ხელში თეთრი მანდილი უპყრია, ფერხთ ქვეშ ციური ძალებია გამოსახული ფრთიანი წრეების სახით. მისი ქართული სახე, მოგრძო, წმიდა, ფაქიზი, არამიწიერი, ნატიფი ნაკვთები, შავი თვალები და პატარა ბაგეები ივერიული სილამაზის ნიმუშია. მანდილი მის ხელში კი ცრემლიანი ლოცვის მაჩვენებელია. ღვთისმშობლის გამოსახვა მანდილით ძველთაგან მოდის...



ქართული საეკლესიო ფერწერა რომ მაღალ შეფასებას იმსახურებდა რუსეთში, ეს ყველაზე კარგად ჩანს იქიდან, რომ ბაძავდნენ ქართულ ნიმუშებს. ცნობილია გადმოცემა, რომლის თანახმადაც ერთმა გულმხურვალე მლოცველმა შესთხოვა ღმერთს, ეჩვენებინა მისთვის, როგორი იყო იესო ქრისტე. იდუმალმა ხმამ გამოუცხადა: „წადი ათონის ივერთა მონასტერში და ჩრდილო-დასავლეთ კარებთან იპოვი ჩემს გამოსახულებას მთელი ტანით...“ ტაძარში მართლაც არსებობს მაცხოვრის შთამბეჭდავი ქართული ფრესკა.

სამწუხაროდ, ქართული ფერწერის ისტორია ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. რუსეთში ყველაფერს იტალიურად და ბიზანტიურად მიიჩნევენ. ქართულ ფერწერას ვერ ანსხვავებენ ბერძნულისაგან. ბ. რომინსკის აზრით, ჩვეულება - ფენა გადაეკრათ ფიცრებზე, რომელზეც წმიდა გამოსახულებები უნდა გამოესახათ, ალბათ, დასავლეთიდან მოდის. მის გამოგონებას მიაწერენ XIII საუკუნის იტალიერ ფერმწერს მარგარიტონე დ'არეცოს. ხოლო არქიდიაკონმა პავლე ალეპოელმა, წარმოშობით არაბმა, უეჭველია, ქართული ანტიოქიაში შეისწავლა. იგი დიდად აფასებდა ქართულ სალვთისმსახურო ენას: სახარების წამღერებით კითხვა და შეძახილების ხასიათი სლავებმა, მათ შორის რუსებმა, ქართველებისაგან ისესხეს, რადგან ქრისტიან ხალხთაგან არც ერთს არ გააჩნია სალვთო წიგნების კითხვის ასეთი წესი.

*თარგმნა* ***ლერი სულამანიძემ***

*ნაწყვეტი წიგნიდან „საქართველოს კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“*

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს მთავრობა მწუხარებას გამოთქვამს ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის

**ჯემალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა მწუხარებით იუწყება ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის

**ჯემალ სილაგაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

მწუხარებას გამოვთქვამთ ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის

**ჯემალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

*საქართველოს ჰელსინკის კავშირი*

---

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის

**ჯემალ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

*საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი*

---

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის საორგანიზაციო ჯგუფი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ჯგუფის წევრი

**რომან დავითის ძე წოწორია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კავშირის წევრი

**რომან დავითის ძე წოწორია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ორგანიზაციის წევრებს თამილა და რეზო თავართქილაძეებს დედამთილისა და დედის

**ნინა სერგოს ასული ბენიძე-თავართქილაძის**

გარდაცვალების გამო.

---

## იზას

შვლისდარი ქალი მოწმენდილ ცაზე ბრდღვიალა მზის ამოსვლას ელოდა, მაგრამ დრაკონებმა ლურჯი ზეცა კუპრივით შავი ღრუბლებით დაფარეს და ქვეყანა ჯოჯოხეთად აქციეს. ფერია ქალს გაუჭირდა ბოროტთა ქვეყანაში არსებობა და თავის მფარველ ანგელოზთან ერთად უფალთან გაფრინდა.

**ეთერ კოტრიკაძე**

## იზა ოსეფაიშვილი

იზა ოსეფაიშვილი - ახალგაზრდა, ნიჭიერი, ყურადღებიანი ექიმი, მორწმუნე აღმსარებელი, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. რა ძნელია, მოგონების სახით ისაუბრო მასზე. იგი ხომ იმედიანი თვალებით უყურებდა მომავალს. სიცოცხლე უნდოდა მხოლოდ იმისთვის, რომ ღვთისა და სამშობლოს სამსახურში გაელია იგი.



ადრე დაობლებული, დედისა და ახლობლების მზრუნველობით გაზრდილი ყველა უმწეოსა და დაჩაგრულს შეძლებისდაგვარად განიკითხავდა.

ბავშვობიდანვე განსაკუთრებული და გამორჩეული იყო - ლამაზი, თვალადი, ნიჭიერი, ჭკვიანი, შრომისმოყვარე.

ქუთაისის რკინიგზის ყოფილი 23-ე (ამჟამად მე-10) საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა. თავაზიანი და მეგობრული, უღალატო მეგობარი იყო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა და ისიც წარჩინებით განასრულა. პედიატრი იყო, 11 წელი იმუშავა ჯიხაიშში. ამაყობდა, რომ მუშაობა უხდებოდა იქ, სადაც ნიკოლაძეების სული ტრიალებდა. უსაზღვროდ შეუყვარდათ ახალგაზრდა, გულისხმიერი მკურნალი. ვაგლახ, რომ ყველას დააკლდა იზას მზრუნველი ხელი.

იზას უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო. ამაყობდა მისი წარსულით, წინაპართა ლამპრად ქცეული სახელებით. ბიბლიას, „ქართლის ცხოვრებას“, „ვეფხისტყაოსანს“ ჩაჰკირკიტებდა მუდამ. ენციკლოპედიური ცოდნით გამოირჩეოდა. იზა ოსეფაიშვილი იყო ეროვნული ცნობიერების ადამიანი. იგი ყოველთვის იქ იდგა, სადაც უნდა მდგარიყო ჭეშმარიტი ქართველი ქალი. როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, იგი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას იდეების თანაზიარი გახდა. იზა იყო ეროვნული მოძრაობის ყველა აქციის, მიტინგის, მანიფესტაციისა და შეკრების აქტიური მონაწილე, როგორც ქუთაისში, ასევე დედაქალაქში. აქტიური, უშიშარი, პირდაპირი, სიმართლისთვის მებრძოლი გახლდათ. ოცნებობდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე, გამთლიანებულ საქართველოზე. მიცვალების წინ დანანებით განაცხადა: რა დაჩეხილ საქართველოს ვტოვებო.

ელოლიავებოდა ეკლესია-მონასტრებით მოფენილ მამულს. მიწიერი ცხოვრებიდან გასვლის წინ ტირილით ჩააბარა აღსარება მოძღვარს, ყველას რაღაც სამახსოვრო საჩუქრები დაუტოვა. დედისა და საქართველოს ჯავრი გაჰყვა.

ორმოცი დღე გავიდა იზა ოსეფაიშვილის გარდაცვალებიდან. მისი ხანმოკლე, ლამაზი მიწიერი ცხოვრება გვარწმუნებს, რომ მისი სული ზეციურ საქართველოშია დამკვიდრებული.

ჩვენო ლამაზო იზა, ილოცე ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსათვის. შენ კი ყოველთვის მოგიგონებენ იმ პატრიოტთა შორის, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდნენ.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია**



## „გზად ძლევაისად“

*ჭეშმარიტ მამულიშვილს პოლიტპატიმარ ირაკლი ფიქაძეს*

მოგიხმობენ იდუმალი გზები,
სული შენი რწმენის ძალით ბორგავს,
გსურს დაიხსნა განწირული ძმები...
ვინ მოგაწვდის არიადნეს გორგალს.
შეპყრობილი ღვთაებრივი გზებით
სიო ჰყვება საარაკო ამბავს,
თურმე მთვარემ დაგილოცა ზვრები
და მთიები ეფერება აკვანს.
დაგყოლია ანგელოსის ფრთები
მითაკამი გასწავლიდა ანბანს...
გაკაჟებდნენ გოლიათი მთები
ამორძალთა დაკოცნილს და ნაბანს.
ჩამავალი მზე გენიშნა ზღვაზე...
მწუხრისფერი შეპარვია ტალღას,
მიდიოდი თვით სიკვდილის ზღვარზე
არ გჩვევია ჩივილი და დალლა.
ბევრი გდიეს არ შეგშლია გეზი...
დაირჩინე წინაპართა ქარგა,
მოსყიდულებს ოცდაათი ვერცხლით...
ღმერთი დასჯის! - შენ იყავი კარგად.

*თენგიზ მხეიძე (ჩოქო)*
12 ენკენისთვე - 2001 წელი

*ჩვენი გაზეთის 31-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი: „როგორ „ჩაუშვა“ ჭაბუა ამირეჯიბმა ალეკო მელაძე“. მას მრავალი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგი მათგანი რომან „დათა თუთაშხიას“ ნამდვილი ავტორის არც თუ ახლადწამოჭრილი საკითხის ძიება-გარკვევას ცდილობს, ზოგიერთისთვის რომანის დედააზრია მთავარი, რადგან ხალხი მუდამ გმირის ძიებაშია, გმირისა „რომელსაც ნატრობს და „რომლისთვის ტირის“ და რომელიც არის „მნათე მომტანი ცეცხლისა“.*

*მიიღეთ, ჩვენი აზრით, მშვენიერი და დროული ლექსიც, რომელსაც ამჟამად გთავაზობთ:*

## სადა ხარ დათა?!

ამ აურაცხელ მცოდველთა ჯართა
და ქვებუდანთა უამურ სპათა,
გამლალებელთა დემონ-ეშმათა,
ერის წარმლვნელთა, გამცემ-მომკლავთა,
ჩვენს ღირსებათა წარმყვნელ-წარმტაცთა,
ვაი ქართველთა და არაკაცთა,
ვინაც დაკარგეს ღირსების განცდა,
ვინც წარმგვრელია ეროვნულ განძთა,
ვინც გამხლეჩია სულ-გულ-ღვიძლ ძმათა,
ვის ავკაცობაც სამანებს გასცდა,
ვისი სიცრუვის ქარგებიც გაცვდა,
ვინც დამლეწია მამულის კართა,
ვისაც არ ახსოვს ომკი და სხალთა,
მტრის ავ წისქვილზე წყლის ურცხვ დამსხამთა
ხროვათა გამო მტრის ნაირგვართა, -
აბაზ-აფსუა-რუს-ოვს-ალანთა...
- ქართველთა სისხლით ვინც ურცხვად დათვრა
ჩვენი ამაგის შეიტკბო არც-რა,
გუგულის კვერცხთა, ავთა-მავანთა,
და ჭირთა გამო სხვათა და სხვათა
ხმას რად არ იღებ და დუმხარ რათა,
შეყრას არ იწყებ კვლავ ქუდზე კაცთა?
მტერთ ასალაგმად გაგვიძეხ მართლა,
შეიბ მახვილი, სადა ხარ, დათა?!

*ვახტანგ აბულაძე*
*ღვინობისთვე, 2001წ.*

დღეს რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ხშირად გავიგონებთ გამოთქმებს, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის ნაწილი წალკაში უნდა ჩასახლდეს. ე. შევარდნაძისაგან ეს არცაა გასაკვირი.

ქართული სოფლების აღორძინება მართლაც შესანიშნავია და ქართველთათვის ესოდენ სასურველი, მაგრამ რის ან ვის ხარჯზე?

ალბათ, აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველები ვერ იტვირთავენ ამ რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას და დაცლილი სოფლების აღორძინებას. ლტოლვილები მშობლიურ კერებს უცილობლად უნდა დაუბრუნდნენ. რა, აფხაზეთი დაცარიელდეს ქართველებისაგან?!

დაგვეთანხმებით, შევარდნაძის რეჟიმმა ამ ღრმად ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ფრიად ორიგინალური გზა შემოგვთავაზა.

# ღვთისა და კაცობრიობის წინაშე პირნათელი საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს!

გვ. 6

ლიათ წაგვართვათ მანქანები, პრივილეგიები, აგარაკები და ა.შ. მაგრამ ძალაუფლებას ვერასოდეს წაგვართმევთ. მიგვიფურთხებია ხალხის აზრისთვის, რადგან ამ აზრს თავად ჩვენ ვქმნით. თქვენს ნებისმიერ შემოტევას ძალითა და სისასტიკით დავუპირისპირდებით. ჩვენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს პროდუქტების, ქარხნების, ეკოლოგიის, ხელოვნებისა და ა.შ. განადგურება. გაცხოვრებთ სიღარიბეში, შიმშილში, ნგრევაში, დაგაავადებთ, დაგაპირისპირებთ, რათა ყელი გადაუღრღნათ ერთმანეთს. ყოველთვის გვაშინებენ ხალხით, რომ იგი აღსდგება და ყველაფერს გაანადგურებს. მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს ჩვენი განადგურებისა, მაგრამ ვერასოდეს გამოიყენებთ, რადგან მხოლოდ ბოროტი გენია მიხვდება ამას, სიკეთე კი უძლურია. ჩვენ კადრების განახლება გვჭირდება, ხელს მოვკიდებთ ჭკვიანებს, ახალგაზრდებს, ენერგიულებს, ერთგულ მსახურებად მათი გადაქცევა კი უკვე ტექნიკის საქმეა. მთავარია, რომ ხალხს ეშინია. რომ არ გვცოდნოდა მასის ფსიქოლოგია, დიდი ხნის დამარცხებულები ვიქნებოდით.

ახლა სხვა რამით ვართ დაკავებული, თქვენი გამრავლების პრობლემა გვაწუხებს და თუმც ვისწავლეთ თქვენი რიცხოვნების რეგულირება – წყლის, საჭმლის, სიგარეტის, ჰაერის მოწამვლით – მაინც ეს პრობლემა ჯერჯერობით გადაუწყვეტელი გვაქვს. ჩვენზე ნუ სწუხხართ, მუდამ ვიპოვით ოაზისს ამ პლანეტაზე სიკვდილისაგან თავის დასაღწევად.

მე 82 წლის ვარ და სიმშვიდისა და კმაყოფილების შეგრძნებით ვკვდები. ამ საქმის ღირსეულ მემკვიდრეებს ვტოვებთ. ჩვენ მუდამ ვიარსებებთ!

თქვენი ერთ-ერთი მბრძანებელი ევგენი კაზიმირის ძე გორდეევი. 1991 წლის 7 იანვარი“.

(უვიცმა მასონებმა არ იციან, რომ ბოროტებას აქვს დათმობილი გარკვეული დროის ლიმიტი. როცა ლიმიტი ამოიწურება, ურია მასონებს შავი დღე დაადგებათ... ამიტომ გვეუბნება ბიბლია: არ წაერთმევა კვერთხი იუდას, არც არგანი ფერხთა შუიდან, სანამ არ მოვა მისი მფლობელი... ბალახი მაისში მწვანეა, ნოემბერში გამხმარი... როცა დრო მოვა, ურია მასონზე საცოდავი არავინ არ იქნება დედამიწის ზურგზე).

ეს ამაზრზენი და სისასტიკით აღსავსე ბოროტი აღსარება 1992 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „ვეჩერნი კიევში“. მოცემული ქართული ტექსტი აღებულია ჟურნალ „იმიჯის“ მე-4 ნომრიდან, რომელიც გამოქვეყნდა „ზეკაცის აღსარების“ სათაურით.

თანამედროვე წიგნიერი კაცობრიობისათვის დაფარული და გასაიდუმლოებულია თუ ვინ მართავს მსოფლიოს, რა მიზანი აქვთ სიონისტებს და მსოფლიო მასონურ მაფიას. თვით საქართველოში, რომელიც სულიერი სიმწიფის ოთხიათასწლიანი მარაგით უსწრებს დანარჩენ კაცობრიობას, წარმოდგენა არა აქვთ მსოფლიო უსამართლობის საიდუმლოებაზე.

ქართველი ხალხის წიგნიერი და ინფორმირებული ნაწილი ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ჩაწვდა ვინ არის შევარდნაძე და ვისი გეგმებით მოქმედებს მისი ანტიეროვნული, ანტიქრისტიანული გუნდი.

ქართული (ლაზურ-კოლხური) გიორგიანული სახელმწიფოს არსებობას, მისი ჩანასახიდან თანამედროვე პერიოდამდე, 16 ათასი წლის ისტორია აქვს, რომლის ჩაყლაპვასა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა მრავალი გადამთიელი და იმპერიული ამბიცია, მაგრამ საქართველო დგას, როგორც სალი კლდის ეკლესია, ხოლო მისი მტრები აღიგავენ მიწისაგან პირისა. იგივე ბედი ეწევა მის ბოლო მტერს - ურია ებრაელების გლობალიზაციას.

საქართველოს გადარჩენის გასაღები დევს მხოლოდ და მხოლოდ კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების ჯიბეში.

ჩემი აზრით, არ არის შორს ის დრო, როცა კანონიერება აუცილებლად იზეიმებს საქართველოში, მაშინ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, შავი ღრუბელიც ვადაიწმინდება, ცაც გამოიდარებს და კვლავ აკიაფდება ცის კაბადონზე ელვარე ვარსკვლავები. დღეს უკვე საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ მანამ, სანამ არ აღსდგება კანონიერი ხელისუფლება, მანამ, სანამ არ შეიცვლება ე.წ. პრეზიდენტი და ორიენტაცია ქვეყანაში, ნებისმიერი მაღალჩინოსანი განწირულია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ღმერთის და კაცობრიობის წინაშე პირნათელი საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს და ჭეშმარიტად აღდგება განხივოსნებული და გასპეტაკებული.

*ზურაბ გოგოხია,*
*ხელოვნებათმცოდნე,*
*დევნილი აფხაზეთიდან*

## კარიკატურისტის კომენტარები



„პარლამენტის წევრები, ცხვრის ტყავში გახვეულები, მგლის საქმეს აკეთებენ“.
*გ. კაკაბაძე*
„ალია“, №150



„ესპანეთის მასმედიის ინფორმაციით ესპანელი ბიზნესმენები იმათ ჰყავდათ მძევლად აყვანილები, ვისაც კავშირი ჰქონდათ თბილისის მაღალჩინოსნებთან“.
„ალია“, №168



„შევარდნაძე ვეღარ აკონტროლებს მოვლენებს. 75 წლის ბებია მყავდა, რომელსაც ასანთს უმალავდნენ, სახლი არ გადაწვასო“.
*არლან სმირბა*
„ალია“, №168

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ბარიელ ფუტკარაძე

რედაქტორები
ლელა ხაჭაპურიძე
ონისე ბანძელაძე

რედაქციის მისამართი:
ქუთაისი, ქუჯრაძის 32
☎ (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. გამოქვეყნებულ წერილებში წარმოდგენილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.